



შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური
საბჭოს გადაწყვეტილებით
2016 წელი 19 ნოემბერი -გადაწყვეტილება N39

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესი

1. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. მისანიჭებელი კვალიფიკაციები. ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი

1.1 აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) მისიას. სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ადგენენ ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს და წარმოადგენენ სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია კურსდამთავრებულისათვის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებაზე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) დონით, რაც აუცილებელია პირის შემდგომ საფეხურზე სწავლის და/ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ აკადემიური უმაღლესი განათლების მიმართულებებს, დარგებს/სპეციალობებს ან/და ქვედარგებს/სპეციალიზაციებს (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში);

1.2 სასწავლო უნივერსიტეტის სახის შესაბამისად შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს:

ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს;

1.2.1 **ბაკალავრიატი** – უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური, რომელიც ახორციელებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

- საბაკალავრო პროგრამის მოცულობა, მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტის, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. პროგრამის სპეციფიკიდან ან/და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან (გეგმიდან) გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. პროგრამით სწავლების/სწავლის ვადაა 8 სემესტრი;
- საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით (გარდა რეგულირებადი სპეციალობებისა, ძირითადი სპეციალობა მინიმუმ 180 კრედიტი).
 - ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
 - ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
 - გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა;
- პროგრამით სწავლის შედეგები: აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგები დაფუძნებულია სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგებზე. აკადემიური უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით და დარგობრივი მახასიათებლებით (არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება აკადემიური უმაღლესი განათლების I საფეხურზე (ბაკალავრიატში) მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე, რაც მოიცავს 6 კრიტერიუმს: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები;
- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა 240 კრედიტის დაგროვება პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

1.2.2 **მაგისტრატურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების II საფეხური, რომელიც ახორციელებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს დოქტორანტურაში შემდგომი სწავლისა გაგრძელებისათვის ან/და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

- სამაგისტრო პროგრამის მოცულობა, ECTS: მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტისა, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. მაგისტრანტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს. პროგრამის სპეციფიკიდან ან/და მაგისტრანტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. პროგრამით სწავლების/სწავლის ვადაა 4 სემესტრი;
- სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა შედგებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგანაც;
- პროგრამით სწავლის შედეგები: უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით და დარგობრივი მახასიათებლებით (არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება უმაღლესი განათლების II საფეხურზე (მაგისტრატურაში) მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე, რაც მოიცავს 6 კრიტერიუმს: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები;
- მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა 120 კრედიტის დაგროვება პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

1.3 რეგულირებადი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას;

1.4 საერთო მოთხოვნები საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისადმი:

- პროგრამა უნდა იყოს დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ. საგანმანათლებლო პროგრამების და მათში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების განხილვა ხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციით წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად ;
- პროგრამა უნდა იყოს შედგენილი ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ჰქონდეს თანმიმდევრული, კანონმდებლობით დადგენილის შესაბამისი სტრუქტურა;
- პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;
- პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე და მიღწევადი;
- პროგრამით სწავლის შედეგები უნდა იყოს აღწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა (ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საფეხურს) და კონკრეტულ დარგობრივ მახასიათებლებს (არსებობის შემთხვევაში) და უნდა უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე;
- პროგრამის ყველა კომპონენტი უნდა იყოს ასახული პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული. სასწავლო უნივერსიტეტში ყველა სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი. დაუშვებელია ერთი და იგივე სახელწოდების და მოცულობის (კრედიტებში) სასწავლო კურსს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში გააჩნდეს სხვადასხვა მიზანი, სწავლის შედეგი ან შინაარსი. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვ.) კრედიტების მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების რაოდენობა და მათი თანათვარდობა, დაგეგმილი მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამის კომპონენტის შინაარსი და მისი შესწავლის ფორმატი, სწავლების მეთოდები და სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა,

სავალდებულო (ძირითადი) და დამატებითი (დამხმარე) ლიტერატურა და სხვ. უნდა იყოს ურთიერთშესაბამისი, უზრუნველყოფდეს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის (ბაკალავრიატის/მაგისტრატურის) აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლების (არსებობის შემთხვევაში) სათანადო დონით.

- პროგრამის აღწერილობას (კურიკულუმს) თან უნდა დაერთოს პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო, არჩევითი სასწავლო კურსის ან/და კომპონენტის სილაბუსი.

1.5 პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 240 კრედიტის, ძირითად სპეციალობას, რომელშიც ენიჭება სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი უნდა დაეთმოს მინიმუმ 120 კრედიტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ძირითადი სპეციალობის გარდა შეიძლება ითვალისწინებდეს დამატებითი სპეციალობ(ებ)ის პროგრამებს. დამატებით სპეციალობაში სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი. დამატებითი სპეციალობა სასურველია მოიცავდეს 60 კრედიტს;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არის არანაკლებ 120 კრედიტისა;
- რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სპეციალობის კომპონენტში შეადგენს პროგრამის მოცულობის არანაკლებ 75%-ისა;
- სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური წელი შედგება ორი სასწავლო სემესტრისგან, თითოეული სემესტრი შედგება 20 კვირისგან. ბაკალავრიატში სწავლის ხანგრძლივობა (ძირითადი ვადა) არის 8 სემესტრი, ხოლო მაგისტრატურაში - 4 სემესტრი; სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული აკადემიური კალენდარის შესაბამისად.
- სტუდენტის დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტი). სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. სასწავლო უნივერსიტეტში ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს;
- პროგრამის კრედიტები ნაწილდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამის ყველა კომპონენტს შორის.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია:
- ძირითადი სპეციალობა (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი), დამატებითი სპეციალობის პროგრამა (სასწავლო კურსები) და თავისუფალი კომპონენტი (არასპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და/ან ე.წ. „თავისუფალი

კრედიტები“ - სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან არჩეული სასწავლო კურსები), სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - სასწავლო კომპონენტი (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, კვლევითი კომპონენტი - კვლევითი ნაშრომი/პროექტო და სამაგისტრო ნაშრომი).

2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელი ასპექტები.

2.1 საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტზე და შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და მასში ძირითადი აქცენტი მისანიჭებელ აკადემიური ხარისხზე/კვალიფიკაციაზე კეთდება.

პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ: შიდა დაინტერესებული მხარე - აკადემიური, დამხმარე პერსონალი, მონვეული სპეციალისტები და გარე დაინტერესებული მხარეები-დამსაქმებლები (ორგანიზაციები), კურსდამთავრებულები. თითოეულ მხარეს მონაწილეობს იმ გადანწყვეტილების მიღებაში, თუ რომელ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რა გზით უნდა იყოს მიღწეული ისინი. გასათვალისწინებელია, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნიკალურია და დაფუძნებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების დასკვნებზე და გადანწყვეტილებებზე. პროგრამის შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ სპეციფიკურ მახასიათებლებს, რომლებიც მნიშვნელოვანია შესაბამისი დარგობრივი სფეროსთვის.

2.2 პროგრამის ინდივიდუალური ერთეულების (კურსი/მოდულის და სხვ.) სწავლის შედეგები ქმნიან საგანმანათლებლო პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. სტუდენტების კომპეტენციები ვითარდება პროგრესირებადი გზით: მარტივიდან რთულამდე, ზოგადიდან - კონკრეტულამდე.

3. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი).

საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობაში აუცილებლად მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

3.1 საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად) - პროგრამის სახელწოდება დასაშვებია არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მაგრამ უნდა შეესაბამებოდეს მას შინაარსობრივად;

3.2 მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად) - მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია) უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს;

3.3 პროგრამის დამტკიცების აქტი: ინფორმაცია უფლებამოსილი ორგანოს (აკადემიური საბჭოს) მიერ პროგრამის დამტკიცების შესახებ;

3.4 პროგრამის ხელმძღვანელი;

3.5 აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური .

ა) პირველი საფეხური, ბაკალავრიატი;

ბ) მეორე საფეხური, მაგისტრატურა;

3.6 სწავლების ენა - უნდა მიეთითოს რომელ ენაზე ხორციელდება პროგრამა. პროგრამის ან მისი ცალკეული კომპონენტის უცხო ენაზე განხორციელების შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ამის შესახებ;

3.7 პროგრამების მოცულობა კრედიტებით -

1) საბაკალავრო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს. საბაკალავრო პროგრამის ძირითად სპეციალობას უნდა დაეთმოს არანაკლებ 120 კრედიტისა;

2) სამაგისტრო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტისა.

3.8 პროგრამის მიზნები: უნდა მიეთითოს პროგრამის მიზნები, რომელიც უკავშირდება კურსდამთავრებულისთვის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერით დადგენილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებას, მისი შემდგომი სწავლის გაგრძელების და დასაქმების უზრუნველყოფას. პროგრამის მიზნები უნდა იყოს მიმართული კურსდამთავრებულის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;

3.9 პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1) უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატში - სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები (გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა);

2) უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში - სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა სამაგისტრო გამოცდები (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე - კანონით დადგენილ შემთხვევებში). სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები.

3) საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია ასევე სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან და სხვა უსდ-დან მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის, რაც განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების და სასწავლო უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია დააწესოს ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა დაშვების დამატებითი წინაპირობები/კრიტერიუმები (მაგ., ამა თუ იმ უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე და/ან სხვ.);

3.10 სწავლის შედეგები: სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა იცის, რას აცნობიერებს და რისი გაკეთება შეუძლია კურსდამთავრებულს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და დარგობრივ მახასიათებელს (არსებობის შემთხვევაში) და

აღწერილი იყოს დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების მეშვეობით: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები;

3.11 სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდების მითითებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესის მარგულირებელი წესი და სასწავლო უნივერსიტეტის

ვებგვერდზე განავსებული სწავლისა და სწავლების მეთოდების განმარტებები. პროგრამის კომპონენტების შესწავლისას გამოყენებული მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს კომპონენტის სპეციფიკას;

3.12 სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა: სტუდენტის მიღწევების შეფასება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სისტემას და პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას.

3.13 დასაქმების სფეროები: მითითებული დასაქმების სფერო უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, მიზნებს, შინაარსს, სტრუქტურას და კურსდამთავრებულის კომპეტენციებს. პროგრამის შემუშავებისას უნდა განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს პროფესიის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

3.14 სწავლის გაგრძელების საშუალება: უნდა მიეთითოს, თუ რომელ საფეხურზე შეძლებს კურსდამთავრებული სწავლის გაგრძელებას. მითითებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროგრამის სპეციფიკა, კურსდამთავრებულის კომპეტენციები და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;

3.15 სასწავლო გეგმა - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ასახული უნდა იყოს პროგრამის ყველა სავალდებულო და არჩევითი კომპონენტი (სასწავლო კურსი/მოდული, პრაქტიკა, კვლევითი ნაშრომი/პროექტი, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.), საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - ასევე, დამატებითი სპეციალობის პროგრამა/პროგრამები და ე.წ. „თავისუფალი კრედიტების“ ნაწილი (მათი არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების, დაშვების წინაპირობების, სტატუსის და სემესტრების მითითებით;

3.16 კურიკულუმში ან მის დანართში უნდა აისახოს პროგრამით სწავლის შედეგები - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების რუკა;

3.17 კურიკულუმში ან მის დანართში უნდა აისახოს ინფორმაცია პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ.

1) პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: უნდა მიეთითოს შესაბამისი კომპიუტერული რესურსები, ბიბლიოთეკა და სხვ. მატერიალური რესურსი, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და მისი საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისათვის.

2) პროგრამის ადამიანური რესურსი: უნდა მიეთითოს ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის და მონვეული სპეციალისტების შესახებ;

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

4.1 კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლით მიღწეულ შედეგს - კურსდამთავრებულის დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს, რომელიც შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურისთვის კვალიფიკაციების აღწერით და შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით (არსებობის შემხვევაში) დადგენილ დონეს და დასტურდება უსდ-ს მიერ გაცემული დიპლომით. პროგრამის კურსდამთავრებულის კომპეტენციები უნდა დადგენილ სწავლის შედეგებს. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით,.

4.2 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით;

4.3 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დამტკიცება

5.1. საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი, რომელიც ასევე შეიმუშავებს მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში შესატან ცვლილებებს და ახდენს პროგრამების მოდიფიცირებას;

5.2. ფაკულტეტს შეუძლია თავად განსაზღვროს კურიკულუმის და სილაბუსის დიზაინი საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დაცვით;

5.3. საგანმანათლებლო პროგრამის/ცვლილებების პროექტი გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმების) და სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების პროგრამების (სილაბუსების) შესწავლის და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენი მიზნით;

5.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამა წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნაში დათვალსწირებული ხარვეზების/შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო განიხილავს ამ შენიშვნების გათვალისწინების საჭიროებას - ხდება მათი გამოსწორება ან გათვალისწინების გარეშე, შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით, აკადემიური საბჭოსთვის გადაცემა. ფაკულტეტის საბჭოს სხდომას შეიძლება დაესწროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დასკვნის წარდგენისა და დასკვნაში მითითებული გარემოებების დასაბუთების მიზნით;

5.5. ფაკულტეტის საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რადიკალურად განსხვავებული ხედვის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს შეისწავლის ორივე მხარის არგუმენტებს და შემუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;

5.6. აკადემიური საბჭო წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის/ცვლილებების განხილვის შემდეგ ამტკიცებს წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე;

5.7. აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის/ცვლილებების დამტკიცების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას და პრიორიტეტებს, ითვალისწინებს დარგში არსებულ სიახლეებს, უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევას და კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე, არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი, მისი სპეციფიკის შესაბამისი, მატერიალური და ადამიანური რესურსები და სხვ.;

5.8. საგანმანათლებლო პროგრამაში ნებისმიერი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ცვლილების შეტანა ხდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სპეციალობის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორთა შემადგენლობიდან. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირების/ცვლილებების შეტანის ორგანიზებას, სტუდენტების დახმარებას საგანმანათლებლო პროგრამასთან, პროგრამის სპეციფიკასთან, პროგრამის სასწავლო კურსებთან/კომპონენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი - პროფესორები, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, ასისტენტები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მონვეული სპეციალისტები. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, როგორც აკადემიური პერსონალი, შეიძლება იყოს ჩართული ასისტენტი, რომელიც პროფესორის, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით, ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

7. გარდამავალი დებულებები

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მონვეული სპეციალისტები ხელმძღვანელობენ წინამდებარე წესით და პროგრამის შემუშავების მომენტისთვის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით.
2. წინამდებარე წესს ერთვის დანართი:

დანართი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის ნიმუში.